

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის  
სკოლა-პანსიონი

“ ვ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი “

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის  
სახელობის სკოლა-პანსიონის  
დამფუძნებელი  
“30“ მარტი“ 2016 წელი

*დეკანოზი*



“ განხილულია “

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის  
სახელობის სკოლა-პანსიონის  
პედაგოგიური საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე  
დირექტორის მონაწილეობით  
ოქმი №5 “30“ მარტი“ 2016 წელი




ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის  
სახელობის სკოლა-პანსიონის

შ ი ნ ა გ ა ნ ა წ ე ს ი  
ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი თ

თბილისი  
2016 წელი

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი



## ხედვა

ზოგადი და პროფესიული განათლების (სამივე საფეხურებზე) განვითარების ხელშეწყობა, განახლებული სასწავლო და პროფესიული პროგრამების გამართული ინფრასტრუქტურისა და ადეკვატური აღჭურვილობის მეშვეობით შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, სახელობო და სახელეწიფო განათლების კვალიფიციური მოზარდის მომზადება, რომელსაც ექნება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ერთი მესამედის ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და თვითდასაქმებას ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. მუსლიმან და ქრისტიან ქართველ ბავშვთა თანაცხოვრება, შემდგომში მათი ინტეგრირების მიზნით.

## მისია

ზოგადი განათლების სამივე და პროფესიული განათლების III საფეხურზე მოსწავლეებს მისცეს მრავალმხრივი განათლება. აღზარდოს ეროვნული, კულტურულ-მემკვიდრეობითი, ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად, რომელიც იქნება ქვეყნის ინტერესების დამცველი; შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეებს განუვითაროს მუსიკალური, ხალხური რეწვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობებისათვის აუცილებელი საგანმანათლებლო უნარ-ჩვევები, მოახდინოს მუსლიმან ქრისტიან ქართველ ბავშვთა თანაცხოვრება-ინტეგრირება, ხელი შეუწყოს მოსწავლეებს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებაში, კურსდამთავრებულთა დასაქმებაში, კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და მომავალი განვითარების გზის სწორად არჩევაში, შრომის ბაზარსა და სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრებაში.

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის  
სკოლა-პანსიონი

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური  
მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის

შ ი ნ ა გ ა ნ ა წ ე ს ი

თავი I - ზოგადი დებულება

**მუხლი 1. მოქმედების სფერო**

1. შინაგანაწესი აწესრიგებს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონში (შემდგომში „სკოლა-პანსიონი“) საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, აგრეთვე მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა და დასაქმებულთა საქმიანობის წარმართვის წესებს;
2. შინაგანაწესში განსაზღვრულია, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო ან/და სასწავლო პროცესის დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების პერიოდი, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და ადგილი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის, შრომის პირობების დაცვის, წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომების, სახდელთა გამოყენების, განცხადება-საჩივრის განხილვისა და სხვა სპეციალური (მასწავლებელთა და მოსწავლეთა უფლებები, მოვალეობები, ქცევის წესები, სკოლის მართვის მექანიზმები, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და გადაყვანის პირობები) წესები.

**მუხლი 2. შინაგანაწესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებანი**

**ადმინისტრაცია** - მმართველობის ორგანოები წარმოება-დაწესებულებებში, დაწესებულების მმართველი პერსონალი, (განათლების ხარისხის მართვისა და პედაგოგთა პროფგანვითარების მენეჯერი, კონსულტანტი, სამეურნეო მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორი, საქმისწარმოების მენეჯერი, ექიმი, მასწავლებელი, გახანგრძლივებული ჯგუფის ხელმძღვანელი);

**ავტორიზაცია** - ზოგადი ან/და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

**დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა** - ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საათების გარდა, მასწავლებლის მუშაობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად, სსსმ მოსწავლესთან მუშაობა;

**დამხმარე და ტექნიკური პერსონალი** - საშტატო განრიგით გათვალისწინებული დანარჩენი პერსონალი;

**დირექტორი** - სკოლის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილი პირი;

**დირექცია** - დაწესებულების ხელმძღვანელი ორგანო დირექტორის მეთაურობით (დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი);

**დისციპლინური გადაცდომა** - სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევა;

**ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის  
სკოლა-პანსიონი**

- დისციპლინური სახდელი** - სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული წესების გადაცდომისათვის გათვალისწინებული ზემოქმედების ზომა;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო** – დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, მათ შორის, პროფესიული განათლების კვალიფიკაციებს;
- ეროვნული სასწავლო გეგმა** – დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ და მაქსიმალურ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას, და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებების აღწერას;
- ექსტერნატი** – პირის მიერ ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მიღების წესი, რომელმაც დამოუკიდებლად აითვისა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
- ვაუჩერი** – სახელმწიფოს მიერ მოსწავლისათვის გადაცემული, მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოშვებული იქნეს როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული ფორმით და რომელიც განკუთვნილია პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების დასაფინანსებლად;
- ზეგანაკვეთური სამუშაო** - მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვანისთვის არემატება კვირაში 40 საათს, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის - კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე არასრულწლოვნისთვის - კვირაში 24 საათს;
- ზოგადი განათლება** – განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს;
- თვითშეფასება** – სკოლის მიერ მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის შემოწმება. თვითშეფასების პროცესში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები;
- ინკლუზიური განათლება** – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად;
- კვალიფიკაცია** – კონკრეტულ შრომით საქმიანობაში პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციათა ფლობის დონე;
- კვალიფიკაციის ამაღლება** – სწავლის პროცესი, რომლის მიზანია გარკვეულ სფეროში

## ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი

კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ დამატებით ახალი პროფესიული ცოდნის შეძენა და უნარ-ჩვევების დახვეწა;

**კლასი** – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა დროებითი, სულ მცირე ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შენარჩუნებული ერთიანობა, რომელიც შედგენილია ეროვნულ სასწავლო გეგმებში მოცემული რეკომენდაციებისა და ამ დაწესებულების წესდების მიხედვით და რომელში გაერთიანებული მოსწავლეებიც ძირითადად ერთად სწავლობენ ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს;

**კრედიტი** - დროის ერთეულებში გამოსახული მოსწავლის სტ. დატვირთვის მოცულობა. ECTS. (ერთეული, რომელიც გამოხატავს პროფესიული სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა);

**მასწავლებელი** – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებული, შესაბამისი განათლების მქონე პირი, რომელიც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

**მასწავლებლის პროფესიული განვითარების პორტფოლიო** – მასწავლებლის პროფესიული მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული წარმატებების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა;

**მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი** – პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მასწავლებელი;

**მუშაკი** - შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული პირი;

**პანსიონი** – პანსიონი წარმოადგენს საქართველოს რაიონებიდან და უცხოეთიდან ჩამოსულ ხელოვნების განსაკუთრებული ნიჭით დაჯილოდებულ, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ მოსწავლეთა სადღეღამისო საცხოვრებელს, რომელიც საქმიანობას წარმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების, სკოლა-პანსიონის შინაგანაწესის, სკოლა-პანსიონის დებულებისა და წესდების შესაბამისად;

**პედაგოგი/მასწავლებელი** - შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული პირი, რომელიც პედაგოგიურ საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ შესაბამისად;

**პედაგოგიური საქმიანობა** – მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან საგაკვეთილო და დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა;

**პროფესიული გადამზადება** – სწავლების პროცესი, რომლის მიზანია მოიცვას ადრე მიღებულისაგან განსხვავებული პროფესიული ცოდნის შეძენა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც განპირობებულია პროფესიული საქმიანობის ხასიათისა და შინაარსის შეცვლის აუცილებლობით;

**პროფესიული განათლება** – სახელობო ან/და პროფესიული უმაღლესი განათლება, რომლის მიზანია პირის მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება;

**ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის  
სკოლა-პანსიონი**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. პროგრამა აერთიანებს კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს/მოდულებს. მასში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები;
- პროფესიული სტუდენტი** – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული სახელობა/სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამით;
- სასკოლო სასწავლო გეგმა** – სასწავლო გეგმა, რომელიც კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ დატვირთვას აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურებას, აგრეთვე სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო ღონისძიებებს;
- სახელობო განათლება** - პროფესიული განათლების სახე, რომლის მიღებაც შეიძლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ და რომლის მიზანია სერთიფიცირებული სპეციალისტის მომზადება;
- სახელობო განათლების მასწავლებელი** – პირი, რომელმაც მიიღო შესაბამის სფეროში უმაღლესი განათლება, გაიარა აკრედიტებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებას;
- საწარმოო/სასწავლო პრაქტიკა** - პროფესიულ სტუდენტის მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომლის მიზანია პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება;
- სერტიფიცირება** – მასწავლებლისათვის პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება ან/და განახლება;
- სილაბუსი** – (ინგლ. სიტყვა - საგნის სასწავლო გეგმა) დოკუმენტი სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, სწავლების საფეხურის მიზნის, მოცემული სწავლების ფორმატის, სწავლება-სწავლის მეთოდების, კურსის საათობრივად გაწერილი შინაარსობრივი გეგმის, გამოყენებული სახელმძღვანელოების გვერდებისა და სხვა რესურსების დეტალური მითითებით; რომელშიც გათვალისწინებულია შეფასების კომპონენტები/პრინციპები (შუალედური, შემაჯამებელი, განმსაზღვრელი) და მოსალოდნელი შედეგი, კერძოდ იმ ცოდნის და უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, რომელსაც უზრუნველყოფს კურსის დასახელება;
- სკოლა-პანსიონი** - საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით შექმნილი

## ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში „სკოლა - პანსიონი“);

**სკოლის პედაგოგიური საბჭო** – სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო;

**სპეციალისტი** - პირი, რომელსაც მიენიჭა პროფესიული განათლების ერთ-ერთი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი (სერთიფიკატი);

**შრომითი ხელშეკრულება** - ვადიანი, უვადო, წერილობითი ან ზეპირი ფორმა, რომელიც იდება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.

## თავი II. სკოლა პანსიონის მისია და მართვა

### მუხლი 3. სკოლა-პანსიონის მისია

ზოგადი განათლების სამივე და პროფესიული განათლების III საფეხურზე მოსწავლეებს მისცეს მრავალმხრივი განათლება. აღზარდოს ეროვნული, კულტურულ-მემკვიდრეობითი, ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად, რომელიც იქნება ქვეყნის ინტერესების დამცველი; შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეებს განუვითაროს მუსიკალური, ხალხური რეწვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობებისათვის აუცილებელი საგანმანათლებლო უნარ-ჩვევები, მოახდინოს მუსლიმან ქრისტიან ქართველ ბავშვთა თანაცხოვრება-ინტეგრირება, ხელი შეუწყოს მოსწავლეებს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებაში, კურსდამთავრებულთა დასაქმებაში, კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და მომავალი განვითარების გზის სწორად არჩევაში, შრომის ბაზარსა და სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრებაში.

წესდების მიხედვით სკოლა-პანსიონის მიზანია:

- ზოგადი განათლების მიცემა მოსწავლეთათვის დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე;
- სახელობო და სახელოვნებო განათლება;
- შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულ საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში მცხოვრები ქართველი ბავშვებისათვის მუსიკალური (ფორტეპიანო, საორკესტრო, ხალხური საკრავები, ხალხური საგუნდო და საეკლესიო გალობა) და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (ფერწერა, ხატწერა, თექა, გობელენი, ქსოვა, ქარგვა, მინანქარი, ხეზე კვეთა, ხის დამუშავება, კერამიკა, ქვაზე კვეთა, ლითონის ნაკეთობათა დამუშავება, ჭედურობა, ოქრომჭდლობა) სპეციალობებში შესაბამისი სახელობო და სახელოვნებო განათლების მიცემა.
- მოსწავლეების აღზრდა ეროვნულ-კულტურულ და ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად;
- ხალხური რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების ძლიერი საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნა და ტრადიციული სახელობო დარგების აღმდინება;